## ერთიანი პოლიტდღე



# მსმენელთა აქტივობის 110 ვითარებაში

**გუშინ** მთელს ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდა ერთიანი პოლიტდღე, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო მშრომელი ადამიანების მზადყოფნა — რაც შეიძლება მაღალი მაჩვენებლებით შეხვდნენ პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს.

მსმენელთა აქტივობის ვითარებაში ჩატარდა პოლიტმეცადინეობა საქართველოს სპორტკომიტეტში, სადაც წაკითხულ იქნა მოხსენებები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და შემოქმედების, მისი თეორიული მემკვიდრეობის შესახებ.

...პოლიტმეცადინეობის დაწყებამდე ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებმა, შრომისა და ომის ვეტერანებმა, სპორტსმენებმა გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა უფროსმა მწვრთნელმა გურამ სალარაძემ გვითხრა: „პოლიტმეცადინეობა ჩატარდება ჩვენს ნაკრებ გუნდშიც. ამ დღისთვის თადარიგი ადრიანად დავიჭირეთ — გაიმართა გუნდის მოზრდილთა და ახალგაზრდული შემადგენლობების გაერთიანებული პარტიულ-კომკავშირული კრება, გამოვუშვით კედლის გაზეთის მორიგი ნომერი და საერთოდ ყოველმხრივ მოვემზადეთ“...

საქართველოს სპორტკომიტეტში პოლიტმეცადინეობა 3 სასემინარო ჯგუფში ჩატარდა და დამსწრეთა აქტივობის ნიშნით წარიმართა — გამოვიდნენ: სპორტის დამსახურებული ოსტატები **გ. სალარაძე, ს. ჯაიანი, ვ. სვეტილკო;** ომის ვეტერანები **ზ. მიშველიძე, ბ. სავჩენკო,** აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი **ვ. ლომაძე,** საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **დ. პერტენავა.**

პოლიტმეცადინეობები ასევე გაიმართა რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებში, უწყებებში, ნაკრებ გუნდებში.

**მ. ჭკადუა.**



სურათზე: ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები ვ. ი. ლენინის ძეგლთან. ა. კოტორაშვილის ფოტო.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 50 (6611)

13 მარტი, ხუთშაბათი. 1980 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## საქართველოს სპორტკომიტეტში

## დაჯილდოება

**საქართველოს** სპორტსმენებმა ამ დღეებში მთელ რიგ საკავშირო ასპარეზობებში ისახელეს თავი. ზაპოროჟიეში მიმდინარე ჩვენი ქვეყნის ძიუდოისტთა ჩემპიონატში რ. ხარშილაძემ ქვემიმე წონის ათლეტთა შორის ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო თ. ხუბულური მეორე ადგილზე გავიდა.

ამ წარმატებისთვის **რ. ხარშილაძე** საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა შეიტანა სპორტკომიტეტის საპატიო წიგნში და სამახსოვრო საჩუქრით დააჯილდოვა. **თ. ხუბულური** დაჯილდოვდა კომიტეტის სიგელით. მათ მწვრთნელს **ბ. მაზიაშვილს** ქვეყნის ჩემპიონისა და ვერცხლის პრიზიორის მომზადებისთვის გამოეცხადა მადლობა.

* * *

სამარყანდში გამართულ ახალგაზრდა მოფარიკავეთა საკავშირო პირველობაში გამარჯვებისთვის **ვ. აფციაური** (რაპირა) და **გ. ჯილაური** (დაშნა) საქართველოს სპორტკომიტეტმა სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა, ხოლო **ვ. გოქაძეს,** რომელმაც რაპირით შეჯიბრებაში მეორე ადგილი მოიპოვა, აგრეთვე, ამ სპორტსმენთა აღმზრდელებს **მ. გაბუნიას, ს. აჯიმამუდოვს, მ. კიკალიშვილსა** და **ნ. ძაგანაშვილს** გამოეცხადა მადლობა.

* * *

მოციგავეთა წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში ბაკურიანელმა სპორტის ოსტატმა თ. ქუმარიტაშვილმა ერთადგილიანებით ასპარეზობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამ წარმატებისთვის **თ. ქუმარიტაშვილი** საქართველოს სპორტკომიტეტმა საპატიო სიგელითა და სამახსოვრო საჩუქრით დააჯილდოვა, ხოლო მის მწვრთნელს **ა. ქუმარიტაშვილს** გამოეცხადა მადლობა.



GENS UNA SUMUS

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

### საათები კვლავ ჩაირთო

**გუშინ** თბილისში, ჭადრაკის სასახლეში გაიმართა ნ. გაფრინდაშვილ — ნ. გურიელის მატჩის მეხუთე პარტია, რომელშიც თეთრებით მსოფლიოს ექს-ჩემპიონი თამაშობდა.

პარტია გადაიდო 41-ე სვლაზე, დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში. ამ პარტიის დამთავრება ნავარაუდევია 14 მარტს.

გუშინ კისლოვოდსკში ე. ახმილოვსკაია — ნ. ალექსანდრიას მატჩშიც მეექვსე პარტია გათამაშდა. თეთრებით იწყებდა ახმილოვსკაია.

5-საათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო ალექსანდრიას უპირატესობით.

ორივე გადადებული პარტიების დამთავრება 14 მარტისთვისაა დანიშნული.

დღეს თბილისსა და კისლოვოდსკში უნდა შედგეს მორიგი პარტიები.

●

### მესამე პარტია გადაიდო

**ავსტრიის** ქალაქ ფელდენში მიმდინარე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ტ. პეტროსიანსა და ვ. კორჩნოის შორის ყაიმით დამთავრდა მეორე პარტია, რომელიც გადადებული იყო.

სამშაბათს პრეტენდენტებმა მესამე პარტია გაითამაშეს. მე-40 სვლაზე, როდესაც ამოიწურა სათამაშო დრო, პარტია გადაიდო. ანგარიშია 1:1.

● კლასიკური ჭიდაობა

## ვახტანგ ბლაგიძის წარმატება

**გფრ-ის** ქალაქ აშაფენბურგში დამთავრდა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში ამ ქვეყნის დიდ პრიზზე. გამარჯვებისთვის იბრძოდა 18 ქვეყნის 137 ათლეტი, მათ შორის 8 საბჭოთა მოჭიდავე.

52 კგ წონაში გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონმა, თბილისელმა **ვ. ბლაგიძემ.** 90 კგ-ში უძლიერესი იყო ომსკელი **ს. გოლუბოვიჩი,** ხოლო 100 კგ-მდე—ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოველი **ნ. ბალბოშინი.** მათ გარდა პრიზიორები გახდნენ (მესამე ადგილებზე გავიდნენ): 57 კგ წონით კატეგორიაში — ულიანოვსკელი ოლიმპიური ჩემპიონი ვ. კონსტანტინოვი, 62 კგ-ში — კიეველი ნ. დავიდიანი და 74 კგ-ში — ალმაათელი ა. ბიკოვი.

● რაგბი

### „სახლმშენი“ — მეოთხე ადგილზე

**მოსკოვში** დამთავრდა რაგბისტთა ზამთრის საკავშირო ტურნირი. ასპარეზობაში უმაღლესი და პირველი ლიგის 12 კოლექტივი მონაწილეობდა. თავდაპირველად ისინი 2 ქვეჯგუფად დაიყვნენ. პირველში იმარჯვა მოსკოვის „სლავამ“, რომელმაც 15 ქულა მოიგროვა. ქუთაისის „სახლმშენი“ 12 ქულით მეორე ადგილზე გავიდა. მან ქულით აჯობა სსა-ს. მეორე ჯგუფში მოსკოვის „ლოკომოტივმა“ და „ფილიმ“ 13-13 ქულას მოუყარეს თავი. პირველობა მიეკუთვნა „ლოკომოტივს“, რომელმაც „ფილის“ პირად შეხვედრაში აჯობა — 10:9.

შემდეგ მოეწყო ფინალური მატჩები. ტურნირის პირველი პრიზისთვის ბრძოლაში „სლავამ“ სძლია მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 10:3, მესამე ადგილისთვის „ფილისა“ და ქუთაისის „სახლმშენის“ დუელი მოსკოველების გამარჯვებით დამთავრდა — 16:13.

● ფიგურული სრიალი

### ი. ჰოფმანის პირველი მედალი

**დორტმუნდში,** „ვესტფალჰალეში“ სტარტი აიღო მსოფლიოს მორიგმა ჩემპიონატმა ფიგურულ სრიალში. ვაჟებმა უკვე დაამთავრეს სავალდებულო პროგრამა. მცირე ოქროს მედალი მოიგო 24 წლის სტუდენტმა გდრ-დან ი. ჰოფმანმა — 44,84. მომდევნო ადგილებზე არიან ამერიკელები დ. სანტი — 43,6 და ჩ. ტიკნერი — 42,76. ევროპის წლევანდელი და ოლიმპიური ჩემპიონი რ. კაზინსი (ინგლისი) V ადგილზე გავიდა — 40,8.

სპორტული წყვილების შეჯიბრებაში მოკლე პროგრამის შემდეგ ექვსეულში 3 საბჭოთა დუეტია. ლიდერობენ ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორები მ. ჩერკასოვა და ს. შახრაი — 41,04. მ. პესტოვა და ს. ლეონოვიჩი III ადგილზე იმყოფებიან, ხოლო დებიუტანტები ვ. პერშინა და მ. აკბაროვი — მეხუთეზე.



# ხუთნი თოვლზე... თუ არ ჩავთვლით მწვრთნელს



**ისინი** თითქმის თავისი მწვრთნელის „ასაკისანი“ არიან... ყველა ერთად: ძმები ანთაძეები — სანდრო და ლადო, გელა კოზანაშვილი, ლევან აბრამიშვილი და დათო ოგანეზოვი. ყველანი მე-3 კლასში სწავლობენ, გარდა სანდროსი (ის „მხოლოდ“ მეორეკლასელია). ანთაძეები და აბრამიშვილი თბილისელები არიან, კოზანაშვილი და ოგანეზოვი — ბაკურიანელები. ხუთივენი განათლების სამინისტროს გუნდის წევრები არიან, რომლებსაც სპორტის ოსტატი გიორგი ჯიჭოევი და შალვა კოზანაშვილი ავარჯიშებენ.

მათ ასაკში შეჯიბრებები არც თუ ისე ხშირად იმართება, მაგრამ სპეციალისტებს ისინი დიდ ასპარეზობებში, მათ შორის სსრ კავშირის ჩემპიონატებშიც გამოჰყავთ ტრასის გამხსნელებად. და უნდა ითქვას, ნორჩები ხშირად ტოლს არ უდებენ გამოცდილ ოსტატებს. ყოველი სტარტი მათთვის დიდი სკოლაა.

და კიდევ ერთი: ხუთივეს მამები წარსულში ცნობილი სპორტსმენები იყვნენ — თამაზ ანთაძე ხელბურთში სსრ კავშირის ჩემპიონის თბილისის „ბურევესტნიკის“ კაპიტანი, გერა აბრამიშვილი, იური ოგანეზოვი და შოთა კოზანაშვილი — რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონები სამთო-სათხილამურო სპორტში. პატარებიც ცდილობენ მშობლების ნაკვალევს გაჰყვნენ. ხომ იცით: ის ურჩევნია მამულსა...

**ეკა დარახველიძე.**

• • •

**სურათზე:** მარცხნიდან — **ს. ანთაძე, ლ. ანთაძე, გ. კოზანაშვილი, დ. ოგანეზოვი** და **მწვრთნელი შ. კოზანაშვილი.**

**ნ. ქარელის ფოტო.**

საქართველოს სპორტკომიტეტში

# ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის აღმავლობისთვის

**გაიმართა** საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი სპორტული ნაგებობების კოლექტივებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1979 წლის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად იმატა ფიზკულტურელთა რაოდენობამ — მარტო გასულ წელს მომზადებულია 506 ათასზე მეტი მშთ ნიშნოსანი და 400 ათასამდე სპორტსმენ-თანრიგოსანი. ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობის ზრდას, რესპუბლიკის სპორტსმენთა სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფიზკულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისთვის გატარებულმა ღონისძიებებმა, არსებული სპორტული ნაგებობებისა და ბაზების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებამ, მშრომელთა აქტიური დასვენებისათვის შესაბამისი პირობების შექმნისათვის მიღებულმა ზომებმა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თბილისში მწყობრში ჩადგა საწყლოსნო სპორტული კომპლექსი, დახურული მძლეოსნური მანეჟი, ჩოგბურთის სასახლე, ძიუდოს სპორტული დარბაზი, „შრომითი რეზერვების" სპორტული კომპლექსი, საცურაო აუზი და სპორტული კომპლექსი რუსთავში, სტადიონი — ცხაკაიაში, სპორტის სასახლე — ბათუმში და სხვ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ითვალისწინებს სპორტული ნაგებობებისა და ბაზების გამოყენების ეფექტიანობისა და მომსახურების ხარისხის ამაღლების მოთხოვნებს, 1979 წელს მონაწილეობა მიიღო 140-მდე სპორტული ბაზის კოლექტივმა, მათ შორის კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს თბილისის „დინამოს" სპორტკომბინატის, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის, სოხუმის სასროლეთის, თბილისის სპორტის სასახლისა და სხვა კოლექტივებმა.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ფოთის, ქუთაისის, ტყიბულის, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტული ბაზების, თბილისის ცენტრალური ველოდრომის კოლექტივებმა სათანადო ყურადღება არ დაუთმეს სოციალისტური შეჯიბრების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფას, ხოლო ისეთ კოლექტივებს, როგორიცაა თბილისის სპორტკომიტეტის საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი და სპორტსაზოგადოება „განთიადის" დახურული მძლეოსნური მანეჟი, შეჯიბრებაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ.

კოლეგიის სხდომაზე იმსჯელეს თბილისის მუშა-ახალგაზრდობის საერთო საცხოვრებლებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალგაზრდობის, მშრომელთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების, აქტიური დასვენების ორგანიზაციის საქმეში თვალსაჩინო ადგილი უკავია ფიზკულტურასა და სპორტს. მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას უთმობენ საერთო საცხოვრებლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლას. განსაკუთრებით კარგადაა ორგანიზებული ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა ელმავალმშენებელი ქარხნის მუშა-ახალგაზრდობის საერთო საცხოვრებელში. აქ შექმნილია მშთ კომპლექსის სასწავლო ჯგუფები, სისტემატურად ეწყობა პირველობები სპორტის ცალკეულ სახეობებში, საერთო საცხოვრებლის სპორტულ დარბაზში მეცადინეობენ მოჭიდავეები, მოკრივეები, ძალოსნები.

ამავე დროს, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მუშა-ახალგაზრდობის საერთო საცხოვრებლებში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება დილის გამამხნევებელი ვარჯიშების ორგანიზაციას, ფიზკულტურისა და სპორტის სააგიტაციო პროპაგანდისტული ღონისძიებების — სპორტული საღამოების, ლექციამოხსენებების, შეხვედრების ჩატარებას. მაუდ-კამვოლის კომბინატის საერთო საცხოვრებელში, სადაც 158 მუშა-მოსამსახურე ცხოვრობს, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა აბსოლუტურად ჩაშლილია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სრულ უმოქმედობას იჩენენ მუშა-მოსამსახურეთა აქტიური დასვენებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად, არ ახორციელებენ ღონისძიებებს ამ საქმეში პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით. აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დაისახა კონკრეტული ღონისძიებები.

კოლეგიამ მიიღო დადგენილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. დაამტკიცა ფეხბურთში საქართველოს 1980 წლის პირველობის დებულება.

კოლეგიის სხდომაზე გაიმართა მსჯელობა მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში წარმატებით განხორციელებისათვის მიღებულ იქნა 1980-85 წლებში ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის კომპლექსური ნაერთი გეგმა.

სხდომამ მოისმინა ინფორმაცია საერთაშორისო კონგრესის ჩატარებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, შეაჯამა რესპუბლიკის სპორტსმენთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების 1979 წლის შედეგები და დაამტკიცა 1980 წლის სამუშაო გეგმა.

კოლეგიამ მიიღო დადგენილება სპორტის საწყლოსნო სახეობების რესპუბლიკური ფედერაციის ბიუროს შექმნის შესახებ.

იმსჯელეს, აგრეთვე, გაზეთ „კომუნისტის" 1980 წლის 6 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის „თუ ფეხბურთი ზეიმია" შესახებ. ითქვა, რომ აღნიშნულ სტატიაში აღნიშნულმა წინადადებებმა და სურვილებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მოწონებულ იქნა წერილის ავტორის თაოსნობა უსასყიდლოდ, საზოგადოებრივ საწყისებზე სარეკლამო მასალის დამზადების შესახებ. სპორტკომიტეტის კოლეგიამ აღნიშნულ წერილში დასმული წინადადებების ცხოვრებაში გატარების მიზნით მიიღო შესაბამისი დადგენილება, დასახა კონკრეტული ღონისძიებები, რათა ახალ საფეხბურთო სეზონს „დინამოს" სტადიონი მომზადებული შეხვდეს.

კოლეგიამ საქართველოს სპორტკომიტეტის ჭიდაობის სამმართველოს უფროსად დაამტკიცა ვ. ჟღენტი; ჭიდაობის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის დირექტორად — ე. ღუდუშაური; უმაღლესი სპორტული დაოსტატების № 2 რესპუბლიკური სკოლის დირექტორად — თ. ლეკიშვილი; საქართველოს სპორტკომიტეტის სროლისა და ზამთრის სახეობების განყოფილების უფროს მწვრთნელად — ვ. სვეტილკო; საქართველოს სპორტკომიტეტის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსად — ჯ. მანჯგალაძე.

ბაკურიანი-80



# კვლავ ნაქაძე, ამჯერად უმცროსი

„ლელოს" პრიზებზე

**მოხდა** ისე, რომ „ლელოს" პრიზების ტრადიციული გათამაშებისას ჩვენი უძლიერესი „მფრინავი მოთხილამურეები" ბაკურიანში არ იყვნენ. გ. ქუმარიტაშვილი, გ. დიაკონაშვილი, ე. ბაკაევი, ს. ხუბაევი, ზ. ჯანგობეგოვი, ე. ყორომშვილი და ი. ფანჩხაკიძე ნიჟნი-ტაგილში იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატში ასპარეზობდნენ, ხოლო რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი მ. ბაკაევი ტომსკში გაემგზავრა სოფლის სპორტსაზოგადოებათა პირველობაზე.

ჩვენი გაზეთის პრიზებისთვის ბრძოლაში ჯერი მიდგა 11-14 წლის ახალგაზრდებზე — იმათზე, ვისაც ქართული სპორტის ხვალინდელ დღეს უწოდებენ. წელს მათ ბევრჯერ „დალაშქრეს" 25-მეტრიანი ტრამპლინი, მაგრამ სულ სხვაა ოფიციალური შეჯიბრება, რომელსაც შენი ახლობლები — მშობლები, მეგობრები, მრავალი გულშემატკივარი ესწრება.

ახალგაზრდები ყოველი ხტომის წინ ღელავდნენ. მთავარმა მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კობა წაქაძემ სამართლიანად შენიშნა: პატარები სამკერდე ნომრების გარეშე უფრო თავისუფლად, გაბედულად ხტებიანო. — მაშასადამე, ნორჩებმა უფრო მეტ შეჯიბრებაში უნდა მიიღონ მონაწილეობა, რათა დაძლიონ, ასე ვთქვათ, „ოფიციალურობის" შიში. — გამოთქვა აზრი თხილამურებით ხტომების ერთ-ერთმა სპეციალისტმა ბექან ქუმარიტაშვილმა — ეს, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიურადაც გამართლებულია და საგრძნობლად ზრდის სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესსა და მის პოპულარობას...

25-მეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრების ორივე დღეს სტარტზე 16-16 მონაწილე გამოვიდა. ასპარეზობის ორგანიზატორებს განზრახული ჰქონდათ მეორე დღის შეჯიბრება 40-მეტრიან ტრამპლინზე გადაეტანათ, მაგრამ მისი მოუწყობლობის გამო ეს არ მოხერხდა.

მაყურებელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა № 14 სამკერდენიშნიანი ცეროდენა მოთხილამურე — 11 წლის კახა წაქაძე, კობა წაქაძის ვაჟი. ის იყო ამ შეჯიბრების თავისებური ფავორიტი და გაამართლა კიდევაც გულშემატკივართა იმედი: „პატარა კობა" (ასე უწოდებენ მას სიყვარულით) პირველ ცდაზე 27 მეტრზე გადახტა, მეორეში — ნახევარი მეტრით შორს. სტილიც საუკეთესო ჰქონდა და 197 ქულით აბსოლუტური პირველობა დაისაკუთრა.

კახა უკანასკნელ ორ სეზონში საკმაოდ სწრაფად დაოსტატდა, მისი ნახტომები უკვე 30 მეტრს აღწევს. ამასთან, იგი კარგი სლალომისტიცაა, რაც ასე აუცილებელია „მფრინავი მოთხილამურეებისათვის".

ამავე ასაკში (1967-68 წლებში დაბადებულნი) II შედეგი ჰქონდა ელგუჯა ორჯონიკიძეს — 147 ქულა (25,5 და 25 მეტრი). ორივე პრიზიორი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" წევრია. III ადგილზე გავიდა დინამოელი იბრაჰიმ გობოზოვი — 173 (25,5 და 25).

უფროსი ასაკის (1965-66 წწ.) მხტომელთა შორის [illegible] მორიგი „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელმა, 13 წლის ვიაჩესლავ ნაგოგამ — 189,5 (27 და 25,5). გამარჯვებულს ბ. ქუმარიტაშვილი წვრთნის. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ, აგრეთვე, გოჩა უგრელიძე („კოლმეურნე") — 186 (ორივეჯერ — 27,5 მ) და დათო ბუძიშვილი („დინამო") — 171 (26,5 და 25,5).

მეორე დღეს მთავარი პრიზებისთვის კვლავ ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. ამჯერად ყველაზე შორს ნაგოგამ „იფრინა" (29,5 და 29 მეტრი), რამაც მას 205 ქულა და პირველობა მოუტანა. წაქაძეს საერთო მეორე შედეგი ჰქონდა — 196 (27,5 და 28,5), მაგრამ იგი პირველი იყო უმცროსი ასაკის მხტომელთა შორის. II და III ადგილებზე გავიდნენ: უფროსებში — უგრელიძე —193 (29,5 და 28,5) და ელგუჯა ფილიევი („კოლმეურნე") — 191,5 (ორივეჯერ — 29 მ). უმცროსებში — დინამოელები ვალერი მინასიანი — 192 (27 და 28,5) და დავით დიაკონაშვილი — 184,5 (27,5 და 27).

წაღვერის სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე, 12 წლის ელგუჯა ორჯონიკიძე პირველ ცდაზე დაეცა და საპრიზო სამეულის მიღმა დარჩა — 156 ქულა (27 და 27,5), თუმცა ნორჩმა მოთხილამურემ მაინც დაიმსახურა ჩვენი გაზეთის სპეციალური პრიზი — „უმცროსი ასაკის მოთხილამურეთა შორის ყველაზე ლამაზი ნახტომისთვის".

„უმცროსით" — ვთქვით, მაგრამ ბაკურიანში ხომ მათზე პატარა „მფრინავი მოთხილამურენიც" გვყავს — სულ პატარა, 6-7 წლის მხტომელები: დიმიტრი მიქაბერიძე, ზაურ კოზანაშვილი, ზვიად გაგლოევი, ალან მაკიევი, აბესალომ ქუმარიტაშვილი... დაიხსომეთ ეს სახელები, როგორც იტყვიან, „ყოველი შემთხვევისათვის".

...კოხტაგორაზე კობა წაქაძის ხმა გაისმის: „კახა! (დათო, გოჩა, სლავა...) ნუ ხრი ფეხებს, ტანში გასწორდი, ნუ აგვიანებ არეკნს, უფრო გაბედულად...

მერე ყველა ერთად გროვდება, თექვსმეტივე მონაწილე და დიდი ლანგარით ირიგებს ტკბილ ნამცხვარს, რომელიც სახელგანთქმულმა სპორტსმენმა ნორჩებისთვის სპეციალურად ამოიტანა კოხტაზე. ტკბილი „პრიზი" ყველას ერგო — თექვსმეტივეს, მასაც, ვინც უკვე იზეიმა გამარჯვება და მასაც, ვისაც ამ დღეს თასები არ შეხვედრია.

**ო. ნოზაძე.**

(„ლელოს" სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

* * *

**სურათზე:** „ლელოს" პრიზების მფლობელები. მარცხნიდან — ვ. ნაგოგა, კ. წაქაძე და ე. ორჯონიკიძე.

ს. ჯანგობეგოვის ფოტო.

# ძალთა შემოწმება

**გორის** ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის სპორტთამაშობათა დარბაზში ამას წინათ გაიმართა საქართველოს 1980 წლის პირად-გუნდური პირველობა ძიუდოში 1961-62 წ.წ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

— შეჯიბრებამ სპორტსმენთა და სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია — თქვა ტურნირის მთავარმა მსაჯმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. პაპიტაშვილმა, — რამდენადაც იგი იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატისთვის (3-8 აპრილს კრასნოიარსკში გაიმართება) მზადების შემოწმება იყო. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაიცავს ახალგაზრდული ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში შევლენ ამ შეჯიბრების გამარჯვებულები და აგრეთვე ისინი, ვინც თბილისის სავარჯიშო შეკრებას წარმატებით გაივლიან. სულ 24 საუკეთესო ძიუდოისტი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ გორში უკვე მეორედ ჩატარებული შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე ძიუდოში კარგად, საკავშირო ჩემპიონატების დონეზე იყო ორგანიზებული, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის გორის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს (თავმჯდომარე ე. კოშკაძე).

გავაცნობთ ასპარეზობის ჩემპიონებს და პრიზიორებს წონი-

60 კგ. 1. დ. ხორგუაშვილი (გორი), 2. თ. ჯავახიშვილი (თბილისი), 3. ა. ქუშანაშვილი (ახმეტა) და ბ. მინდიაშვილი (საგარეჯო).

65 კგ. 1. ზ. გობოზოვი (თბილისი), 2. შ. გოგოლაური (დუშეთი), 3. გ. ჩუტკერაშვილი (გორი) და გ. თათანაშვილი (თბილისი);

71 კგ. 1. გ. თენაძე, 2. კ. კაკაშვილი (ორივე — გორი), 3. გ. ტაბლიაშვილი (თბილისი) და ე. მსხალაძე (გორი).

78 კგ. 1. თ. მუსაევი თბილისი); 2. ა. მამრიკაშვილი, 3. ტ. მამრიკაშვილი (ორივე — ქუთაისი) და გ. აბუაშვილი (თბილისი);

86 კგ. 1. ჯ. მჭედლიშვილი (გორი), 2. დ. გელაშვილი, 3. ა. კუპრაშვილი (ორივე — თბილისი) და ზ. ოქრუაშვილი (გორი);

95 კგ. 1. ნ. შპეტიშვილი (თბილისი), 2. ე. ჩოჩიშვილი (რუსთავი), 3. მ. ჯაფარიძე (თბილისი) და ე. განჯელაშვილი (გორი);

95 კგ-ზე ზევით. გ. პაპიტაშვილი (გორი), 2. გ. კობერიძე (თბილისი), 3. დ. ხუსკივაძე (ზესტაფონი) და დ. კახეთელიძე (თბილისი).

გუნდურ პირველობაში 39,5 ქულით ყველას აჯობა თბილისის გუნდმა, II ადგილზე გავიდა გორის კოლექტივი — 35, მესამეზე — დუშელი ძიუდოისტები — 8.

**ა. ზენკო.**

* * *

**სურათზე:** თბილისელი გ. სიდამონიძისა და გორელი გ. თენაძის ორთაბრძოლა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

● წყალბურთი

# უფროსი მწვრთნელის აზრით

## „ლელოს“ ინტერვიუ



**მოსკოვის** ოლიმპიური თამაშები, როგორც იტყვიან, ცხრა მთას იქით აღარ არის და ნაკრები გუნდების მწვრთნელებსაც სულ უფრო მეტი პრობლემა უჩნდებათ. ისინი, ბუნებრივია, შეძლებისდაგვარად მნიშვნელოვან ასპარეზობებს ესწრებიან და ოლიმპიური ნაკრები გუნდისთვის კანდიდატთა გამოსვლებს აკვირდებიან. გამონაკლისი არც სსრ კავშირის წყალბურთელთა უფროსი მწვრთნელი ბ. პოპოვი გახლავთ.

იგი, როგორც ერთგვარი მეთვალყურე, თბილისში გამართულ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის II ტურის შეხვედრებსაც ესწრებოდა. როცა უკანასკნელი მატჩი დამთავრდა, მაშინ გავესაუბრეთ ბ. პოპოვს.

● **II ტურის ყველაზე დიდი მოულოდნელობა, ჩვენი აზრით, მოსკოვის „დინამოს“ წყალბურთელთა უფერული გამოსვლა იყო. თუ მინსკის ქვეჯგუფში მათ ქულათა მაქსიმუმი (10) მოაგროვეს, თბილისში ექვსიდან ოთხ შეხვედრაში მარცხი განიცადეს, სულ 3 ქულა აიღეს და საუკეთესო ექვსეულში გაჭირვებით შეინარჩუნეს ადგილი. შარშანდელმა ჩემპიონმა — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა კი პირიქით, თავის ქვეჯგუფში ძალზე უფერულად იასპარეზა და მხოლოდ 3 ქულა მოაგროვა. თბილისში მან ყველა შეხვედრა ალმავლობით ჩაატარა და ქულათა მაქსიმუმი (12) მოაგროვა. თქვენი აზრით, რით აიხსნება ყოველივე ეს?**

— თბილისის ტურმა გვიჩვენა, რომ მინსკის ქვეჯგუფში მოასპარეზე გუნდები გაცილებით სუსტები აღმოჩნდნენ. ერთგვარად ამანაც იქონია გავლენა სტუდენტთა და დინამოელთა გარდასახვაში. და მაინც ჩემი აზრით, მთავარი ისაა, რომ დინამოელთა მწვრთნელებმა ორკვირიანი შესვენება ცუდად გამოიყენეს, სამზადისში შეცდომები დაუშვეს და გუნდმა სპორტული ფორმა დაკარგა. ამან არ შეიძლება არ აგვაღელვოს — დინამოელთა შორის ხომ ოლიმპიური გუნდის 4 კანდიდატია. თბილისში მათ მიერ მოპოვებული ერთადერთი გამარჯვებაც ლვოველ თანაკლუბელებთან ფრიად არადამაჯერებლად გამოიყურება, ვინაიდან II პერიოდში უკრაინელ წყალბურთელთა ერთი მოთამაშე მატჩის ბოლომდე გააძევეს შეცვლის ნებართვის გარეშე.

რაც შეეხება შარშანდელ ჩემპიონებს, მათ I ტურის შემდეგ სწორი დასკვნები გამოიტანეს, შეცდომები გაითვალისწინეს, მეორე „რაუნდისთვის“ უკეთ დაგეგმეს და განახორციელეს სამზადისი.

● **რით აიხსნება ის ფაქტი, რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის წყალბურთელები თბილისში გამართულ შეხვედრების უმეტესობაში მინიმალური ანგარიშით იმარჯვებდნენ?**

— ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში შარშანდელიდან ერთი ცვლილებაა — ყოველი პერიოდის დრო წუთითაა გაზრდილი, რაც საბოლოო ჯამში მატჩის თითქმის ერთი პერიოდით გახანგრძლივებას ნიშნავს. ეს კი ფიზიკურ დატვირთვას დიდად ზრდის. როცა ანგარიშში დაწინაურდებოდნენ ხოლმე, მეზღვაურები თავს უფლებას აძლევდნენ ცოტა მოშვებულიყვნენ იმ იმედით, რომ გამარჯვებას საბოლოოდ შეინარჩუნებდნენ და ენერგიასაც შემოინახავდნენ მეორე მატჩისთვის. ერთი სიტყვით, ისინი იმდენს ცდილობდნენ, რამდენიც გამარჯვებისთვის იყო საჭირო.

● **წლევანდელ ჩემპიონატში საოცარი აღზევება განიცადა კასპიის წითელდროშოვანი სამხედრო ფლოტილიის წყალბურთელთა გუნდმა...**

— ბაქოელი მეზღვაურები წლეულს ისე მოემზადნენ, როგორც არასდროს, უწინარეს ყოვლისა ფიზიკურად. მათ წარმატებას განაპირობებს ისიც, რომ წყალბურთელები შეთანხმებულად თამაშობენ და სრულიად დამსახურებულად იმყოფებიან სატურნირო ცხრილის II საფეხურზე.

იგივე უნდა ითქვას ალმა-ათის „დინამოზეც“. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ამაღლდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორე ეშელონის გუნდების დონე. ამიტომ ლიდერებს მათთან შეხვედრაში ბოლომდე სრული დატვირთვით უხდებათ თამაში. გამონაკლისი მხოლოდ ვოლგოგრადის „სპარტაკი“ გახლავთ.

● **ქართველი წყალბურთელების გულშემატკივრებისთვის საინტერესო იქნება თქვენი აზრი თბილისის „დინამოზე“.**

— თქვენმა წყალბურთელებმა, ვფიქრობ, შინ დამაკმაყოფილებლად ითამაშეს. მხოლოდ ერთი ეცურეთწოდებული დაუგეგმავი ქულა დაკარგეს „მოსკვიჩთან“. ჩემი აზრით, დინამოელები მოსკოველებთან შეხვედრაში თვითდაჯერებულები გამოვიდნენ სარბიელზე და დაისაჯნენ კიდეც. დანარჩენ მატჩებში მოპოვებული შედეგები (3 მოგება, 2 წაგება) ალბათ კანონზომიერი იყო. ბოლოსდაბოლოს ისინი შარშანდელ ჩემპიონთან და წლევანდელ ლიდერთან დამარცხდნენ.

აქვე მინდა ერთი ვარაუდი გამოვთქვა: თბილისელთა მწვრთნელებმა უფრო მეტი ნდობა უნდა გამოუცხადონ ახალგაზრდებს. თქვენი გუნდის ვეტერანები ისელიძე და კურტანიძე ყველა მატჩში თავიდან ბოლომდე არიან სარბიელზე. რა თქმა უნდა, ისინი ლიდერები არიან, მაგრამ დასვენება ზოგჯერ მათაც სჭირდებათ. კვლავინდებურად კარგად თამაშობს მეკარე გიორგაძე და, ამდენად, იგი კვლავ რჩება ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატად.

● **მაინც, რა მოგწონთ ყველაზე მეტად გიორგაძის თამაშში?**

— სტაბილურობა. მას თითქმის არა აქვს ჩავარდნები. მისი ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა ისიც, რომ იგი მით უფრო უკეთ თამაშობს, რაც უფრო ძლიერია მეტოქე. საერთოდ, ეს ქართველ წყალბურთელთა დამახასიათებელი ნიშანია.

● **თუ რაიმე მოსაზრებით საიდუმლო არ არის, ხომ არ დაგვისახელებთ ოლიმპიური გუნდის კანდიდატებს, ხომ არ გამოჩნდა მათ შორის ახალი სახელები?**

— ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრთა შემადგენლობა ჯერჯერობით საბოლოოდ განსაზღვრული არ არის. შემიძლია დავასახელო მხოლოდ უეჭველი კანდიდატები. ესენი არიან მეკარე შარონოვი („მოსკვიჩი“), ბარკალოვი (მოსკოვის „დინამო“), კაბანოვი (სსფ ცსკ) და კოტენკო (ალმა-ათის „დინამო“). სამწუხაროდ, ავად გახდა გიორგი მშვენიერაძე (მოსკოვის „დინამო“), მაგრამ ვარჯიშს უკვე შეუდგა და, ვფიქრობ, ისიც მოხვდება ნაკრებში. საერთოდ, ისინი სტაბილურად კარგ თამაშს აჩვენებენ და მათი იმედი მაქვს. მათ შემდეგ ნაკრების კანდიდატებად, უწინარეს ყოვლისა, ივანოვი და გრიშინი (ორივე — მოსკოვის „დინამო“) მიმაჩნია. სამწუხაროდ, უკმაყოფილო ვარ თბილისში ზოგიერთი კანდიდატის თამაშით.

● **ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე საბჭოთა წყალბურთელები ალბათ უცხოეთის გუნდებსაც შეხვდებიან.**

— აპრილში რუმინეთში გავმართავთ ორ-სამ შეხვედრას იქაურ წყალბურთელებთან. მონაწილეობას მივიღებთ იტალიის, მოსკოვისა და თბილისის საერთაშორისო ტურნირებში. ამ მატჩებში ნაკრების ყველა კანდიდატს გამოვცდით და საბოლოოდ მაშინ დადგინდება ძირითადი ბირთვი.

● **საბჭოთა წყალბურთელები ალბათ ოლიმპიური ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. თქვენი აზრით, მათ გარდა რომელ ქვეყნებს ექნებათ მსგავსი პრეტენზიები?**

— ასეთი ალბათ 8-9 ნაკრები იქნება. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელო უნგრეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიისა და იუგოსლავიის ძალზე ძლიერი გუნდები. ბოლო დროს მნიშვნელოვნად ამაღლეს ოსტატობა დასავლეთ გერმანიის წყალბურთელებმა, რაც მსოფლიო თასის გათამაშებაზეც დადასტურდა. აღსანიშნავია, რუმინეთისა და ჰოლანდიის ძლიერი გუნდებიც.

საუბარი ჩაიწერა
ა. გურასაშვილმა.

# რეგბისტების გაზაფხულიც დადგა

## ახალი სეზონის წინ

**უჩვეულოდ** ადრე იღებს სტარტს რეგბისტთა წლევანდელი სეზონი — 16 მარტს ქუთაისში, ჭიათურაში და თბილისში გაიმართება საკავშირო თასის გათამაშების ერთ-ერთი წინა ეტაპის შეჯიბრებები — პირველი მატჩები საქართველოს თასზე. ამ ტურნირმა უნდა გამოავლინოს ჩვენი რესპუბლიკიდან კიდევ 2 გუნდი (თბილისის „ლოკომოტივს“ და „შევარდენს“ (ყოფილი „ელვა“), ქუთაისის „სახლმშენს“ სათასო ბრძოლებში ადგილები გარანტირებული აქვთ), რომლებიც ქვეყნის თასის მორიგი გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალში გამოსვლის უფლებას მიიღებენ.

საქართველოს თასისთვის ბრძოლის სურვილი გამოთქვა 8 კოლექტივმა. ისინი მეოთხედფინალში ასე დაწყვილდნენ: ქუთაისის ტყავის კომბინატი — თბილისის უნივერსიტეტი, ჩოხატაური — ჭიათურა, თბილისის ლენინის სახელობის რაიონის გუნდი — სამედიცინო ინსტიტუტი, „სპარტაკი“ — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა რეგბიში **კ. კლდიაშვილმა** გვაცნობა, კვირას, 16 მარტს თბილისში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე ორი სათასო მატჩი შედგება: 12 საათზე ლენინის სახელობის რაიონის გუნდი და მედინსტიტუტის კოლექტივები ითამაშებენ, 2 საათის შემდეგ კი „სპარტაკი“ და სპი გაარკვევენ ურთიერთობას.

23 მარტი ნახევარფინალებს დაეთმობა. 30 მარტს კი ცნობილი გახდება რესპუბლიკის თასის მფლობელის ვინაობა.

რესპუბლიკური ტურნირის ესოდენ ნაადრევი გამართვა ნაკარნახევია იმით, რომ 27 აპრილს სტარტს იღებს საკავშირო თასის გათამაშება და 3 მაისამდე ყველა ოცდამეთორმეტედფინალური შეხვედრა მოეწყობა. 11 მაისი დათმობა მეთექვსმეტედფინალებს. კიდევ ერთი კვირის მერე (მერვედფინალიდან) ბრძოლებში ჩაერთვება უმაღლესი ლიგის ყველა გუნდი. თუმცა ორი მათგანი — ქუთაისის „სახლმშენი“ და კიევის „პოლიტეხნიკი“ ორი ეტაპით უფრო ადრე აიღებს სტარტს. საკავშირო თასის გათამაშებაში მაშინ ჩაებმება თბილისის „შევარდენიც“. მისი მეტოქე იქნება ჩვენი რესპუბლიკის თასის მფლობელი. ქუთაისის „სახლმშენი“ რესპუბლიკის თასის ფინალისტს შეხვდება.

როგორც ვხედავთ, საკავშირო თასის წლევანდელი გათამაშების წილისყრამ საქართველოს კოლექტივებს ერთ ჯგუფში მოუყარა თავი. სწორედ ამ ოთხეულიდან უძლიერესი გუნდი იქნება თბილისის „ლოკომოტივის“ მეტოქე მერვედფინალში. ამრიგად, საქართველოდან ყველა ვარიანტში მარტო ერთ გუნდს ეძლევა მეოთხედფინალში გამოსვლის შანსი.

კენჭისყრა გაცილებით იღბლიანი გამოდგა მოსკოვის გუნდების „სლავასა“ და „ფილისთვის“. მათ ნახევარფინალამდე არ ელით ძლიერი მეტოქე, ვინაიდან „სლავას“ მერვედფინალში ლიტვის ან ლატვიის გუნდი უნდა შეხვდეს, მეოთხედფინალში კი ელგავას რაფ-ის, რსფსრ-ს თასის მფლობელსა და კრასნოიარსკის „პოლიტეხნიკს“ შორის გამარჯვებული. ნახევარფინალამდე ასევე იოლი გზა აქვს „ფილისაც“.

მერვედფინალური მატჩების შემდეგ საკავშირო თასის გათამაშებაში ხუთთვიანი შესვენება ცხადდება (ეს პერიოდი საკავშირო ჩემპიონატს დაეთმობა) და იგი მხოლოდ 19 ოქტომბერს განახლდება — ამ დღეს მოეწყობა მეოთხედფინალები. 31 ოქტომბერს ნახევარფინალებია, 2 ნოემბერს — ფინალი. ნახევარფინალები და ფინალური მატჩი ერთ ქალაქში ჩატარდება.

ლ. გელაშვილი.

● ჭადრაკი



# „თეთრი ეტლი“ — ცხაკაიაში

**ცხაკაიას** პიონერთა და მოსწავლეთა სახლში ამას წინათ მოეწყო რაიონის საშუალო სკოლების მეორე-მეშვიდე კლასის მოსწავლეთა გუნდური პირველობა „თეთრი ეტლის“ პრიზზე. სტარტზე გამოვიდა 27 საშუალო სკოლის 117 ნორჩი მოჭადრაკე.

შეჯიბრება ორ ჯგუფად ჩატარდა. პირველში ასპარეზობდნენ ცხაკაიას საშუალო და რვაწლიანი სკოლების, მეორეში — სოფლის სკოლების გუნდები.

პირველ ჯგუფში უძლიერესის სახელი მოიხვეჭა ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა (კ. კიტოვანი, გ. გვასალია, მ. სოსელია, კ. სამუშია, ქ. გვასალია).

სოფლის სკოლებს შორის გაიმარჯვეს თეკლათის საშუალო სკოლის ნორჩმა მოჭადრაკეებმა.

შეჯიბრების შედეგების შესახებ ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „კოლხეთში“ ვრცელი წერილით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომის მდივანი, პიონერთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე მარინა აბრამია. მან მოიწონა ტურნირის ორგანიზაცია, მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელის, ღვაწლმოსილი პედაგოგის მ. ქურდოვანიძის დიდი მეცადინეობა რაიონში ჭადრაკის პოპულარობისთვის და მკაცრად გაკიცხა ზოგი საშუალო სკოლის დირექცია, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტი შეჯიბრების უგულებელყოფისთვის. მან მოითხოვა, რომ მათი ასეთი დამოკიდებულება სერიოზული მსჯელობის საგანი გახდეს.

ნ. იმესაშვილი.

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: ბრძოლა „თეთრი ეტლის“ პრიზისთვის. აქვეა მწვრთნელი მ. ქურდოვანიძე.**

## მოკლედ

**თერჯოლაში** ჩატარდა რაიონის საშუალო სკოლების პირადგუნდური პირველობა. გუნდურ შეჯიბრებაში ყველას აჯობა კვახჭირის საშუალო სკოლის კოლექტივმა.

ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა მ. მემონიშვილმა (სიქთარვა), გოგონებში — მ. აფრიდონიძემ (კვახჭირი).

ვ. კუტალაძე.

● შაში

# ჩემპიონი თბილისიდანაა

**რუსთავის** საჭადრაკო კლუბში დამთავრდა საქართველოს პირველობა რუსულ შაშში ქალთა შორის.

10 ტური დაუმარცხებლად განვლეს თბილისელმა ოსტატმა ნინო ფაილოძემ (9 ქულა) და ფოთელმა ოსტატობის კანდიდატმა ქეთევან ნასარაიამ (8,5). დასკვნითს, მეთერთმეტე ტურში ისინი შეხვდნენ ერთმანეთს.

გაიმარჯვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა ნ. ფაილოძემ (მწვრთნელები ვ. ნინუა, ა. ფეიდერი) და ჩემპიონიც გახდა. II ადგილი ხვდა ფოთის ადგილმრეწველობის ფიზკულტურის მეთოდისტს ქ. ნასარაიას (მწვრთნელი ა. ფეიდერი). III ადგილზე 7,5 ქულით გავიდა თბილისის 160-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ნატო აგლაძე (მწვრთნელი რ. ქერდიყოშვილი).

შემდეგ მოდიან: მ. ბაქრაძე (თბილისი) — 7, შ. ბოლქვაძე (სამტრედია) — 6,5, ნ. ნასარაია (ფოთი) — 6,5, თ. გრიგოლია (სამტრედია) — 5, მ. ალანია (ფოთი) — ი. ბეჟანიშვილი, ე. შვედოვა — 3,5-3,5 (ორივე — (თბილისი), მ. დარჯანია (ფოთი) — 3, ლ. ლაზიუკი (თბილისი) — 1.

რ. გაბრიჭიძე.

**ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს ჩემპიონი ნ. ფაილოძე.**
ავტორის ფოტო.



● თავისუფალი ჭიდაობა

# ორი ჩემპიონი და სხვები

**კიევში** დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში, სადაც გამარჯვებისთვის 12 გუნდი იბრძოდა, საუკეთესო აღმოჩნდა მოსკოვის საჰაერო თავდაცვის გუნდი, ხოლო II ადგილი წილად ხვდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლებს (გუნდის უფროსი მწვრთნელი ზ. მჭედლიშვილი, მწვრთნელი ბ. კულუმბეგოვი).

ამიერკავკასიის მოჭიდავეებიდან განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი **გ. ქენქაძემ** და **მ. მერმანიშვილმა.** პირველი საუკეთესო იყო 62, ხოლო მეორე 100 კგ მოჭიდავეთა შორის.

აღსანიშნავია, რომ ქენქაძემ სხვა მეტოქეებთან ერთად დაამარცხა სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. ალექსეევი და საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორი პ. გარანოვსკი. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართველმა ფალავანმა ამას წინათ მონღოლეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობა და პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ამიერკავკასიის წარმომადგენელთაგან II ადგილები მოიპოვეს ა. სულაქველიძემ (52 კგ) და ვ. კოტორაშვილმა (68 კგ), ხოლო ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ თ. გაბოძესა (74 კგ) და ა. ქვილითაიას (მძიმე).

აღსანიშნავია ახალგაზრდა მოჭიდავის ზ. ტატუაშვილის (48 კგ) კარგი გამოსვლაც. იგი ასეთ დიდ შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობდა და IV ადგილი დაიკავა. ჩვენი გუნდის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა ნ. როსტომაშვილმაც (74 კგ), რომელიც ასევე მეოთხე იყო.

**გ. ალავიძე.**

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

**მოგვყავს** ფეხბურთში სსრ კავშირის თასის ზონალური გათამაშების საბოლოო შედეგები IV ზონაში (თბილისი, რუსთავი).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 5 | 5 | 0 | 0 | 13—4 | 10 |
| „ქაირათი“ | 5 | 4 | 0 | 1 | 8—2 | 8 |
| „ტორპედო“ ქ. | 5 | 2 | 0 | 3 | 6—8 | 4 |
| „სპარტ.“ ორ. | 5 | 1 | 1 | 3 | 3—8 | 3 |
| ასკ ხბ. | 5 | 1 | 1 | 3 | 3—8 | 3 |
| ასკ ოდ. | 5 | 1 | 0 | 4 | 2—8 | 2 |

## ვეტერანის სახელობისა

**საქართველოს** სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო ყოველწლიურად აწყობს გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელისა და მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ჟორდანიას სახელობის თასის გათამაშებას. ეს შეჯიბრება მოეწყობა წლეულსაც, სტარტი დანიშნულია 16 მარტს.

ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ სპორტსაზოგადოების სისტემაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, უმაღლესი სასწავლებლების გუნდები. თამაშები ჩატარდება გამოთიშვითი წესით.

წლევანდელი გათამაშების გადამწყვეტი, ფინალური მატჩი მოეწყობა ა. ჟორდანიას სამშობლოში — ლანჩხუთში. შეჯიბრების მთავარი მსაჯია საკავშირო კატეგორიის მსაჯი ო. ჟორდანია.

**ვ. შავდია,**
**„კოლმეურნის“ უფროსი მწვრთნელი ფეხბურთში, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.**



ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი ერთ-ერთია იმ ხუთიდან, რომელზეც XXII ოლიმპიადის თამაშების პროგრამაში შემავალი ფეხბურთელთა ტურნირი გაიმართება.

● ფეხბურთი

# 1958 წლიდან დღემდე

## ევროპის თასის მფლობელები და პრეტენდენტები

**ევროპის** თასის გათამაშება ტარდება 1958 წლიდან. პირველად მას ფლობდნენ საბჭოთა ფეხბურთელები (1960 წ.), 1964 წელს — ესპანელები, 1968 წელს (უკვე — ევროპის ჩემპიონატი) — იტალიელები, 1972 წელს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი, ხოლო 1976 წელს — ჩეხოსლოვაკიელები.

ახლანდელი გათამაშების ფინალი იტალიაში გაიმართება. ნახევარფინალური ჯგუფები ასე გამოიყურება: **I ჯგუფი** — გფრ, ჰოლანდია, ჩეხოსლოვაკია, საბერძნეთი; **II ჯგუფი** — იტალია, ინგლისი, ესპანეთი, ბელგია.

ზოგი რამ მონაწილეთა შესახებ.

I ჯგუფში ერთ-ერთი ფავორიტია **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის** გუნდი. გერმანელებმა მონაწილეობა არ მიიღეს ევროპის თასის პირველ ორ გათამაშებაში და მხოლოდ 1968 წლის ტურნირში გამოჩნდნენ. ქვეჯგუფში მათ II ადგილი დაიკავეს იუგოსლავიელთა შემდეგ და გათამაშებას გამოეთიშნენ. მომდევნო ტურნირში გერმანელებმა ფინალში დაამარცხეს სსრ კავშირის ნაკრები (3:0) და თასს დაეუფლნენ. 1976 წლის გათამაშებაში, რომლის ფინალი იუგოსლავიაში ჩატარდა, გერმანელებმა ნახევარფინალში სძლიეს მასპინძლებს (3:2), მაგრამ ფინალში ძირითადი და დამატებითი დროის შემდეგ (2:2) პენალტების სერიით დათმეს გამარჯვება ჩეხოსლოვაკიელებთან (3:5).

ასევე ფავორიტებად ითვლებიან **ჰოლანდიელები.** ევროპის თასის გათამაშებაში ისინი 1962 წლიდან მონაწილეობენ. პირველ ტურნირში მათ მერვედფინალში წააგეს ლუქსემბურგის სუსტ გუნდთან (1:1, 1:2), ხოლო მომდევნო ორ გათამაშებაში ვერ გასცდნენ შესარჩევ ქვეჯგუფს. მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატზე შესანიშნავი თამაშის შემდეგ ჰოლანდიელები ასევე წარმატებით გამოვიდნენ ევროპის 1976 წლის ჩემპიონატში, სადაც ქვეჯგუფში გამარჯვების მერე დაამარცხეს ბელგიელები და მიიღეს მონაწილეობა იუგოსლავიაში გამართულ ფინალურ ტურნირში. აქ მათ ნახევარფინალში წააგეს ჩეხოსლოვაკიელებთან (1:3), მაგრამ მოუგეს მასპინძლებს (3:2) და გავიდნენ III ადგილზე.

**ჩეხოსლოვაკიის** ნაკრები ევროპის თასის პირველივე გათამაშების ნახევარფინალში გავიდა, სადაც დამარცხდა საბჭოთა ფეხბურთელებთან (0:3). მომდევნო 3 გათამაშებაში ჩეხოსლოვაკიელები ვერ გასცდნენ შესარჩევ ქვეჯგუფებს, ხოლო ბოლო, 1976 წლის გათამაშებაში, როგორც აღინიშნა, მოიგეს ევროპის ჩემპიონატი.

**ბერძნებმა** მონაწილეობა მიიღეს ევროპის თასის ყველა გათამაშებაში (1964 წლის გარდა). ძლიერ ჯგუფში მოხვედრის შემდეგ საეჭვოა, რომ მათ კიდევ გააუმჯობესონ თავიანთი ახლანდელი მიღწევა, მაგრამ სიურპრიზები მათგანაცაა მოსალოდნელი.

ნახევარფინალისა ... II ჯგუფი, აქ ფავორიტებად ითვლებიან **იტალიელები.** მათ მონაწილეობა არ მიუღიათ ევროპის თასის I გათამაშებაში. შემდეგ დამარცხდნენ საბჭოთა ფეხბურთელებთან (0:2, 1:1), ხოლო 1968 წელს მოიგეს ევროპის ჩემპიონობა. ფინალში იტალიელებმა დაამარცხეს იუგოსლავიელები (1:1, 2:0). 1968 წლის ფინალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ იტალია, იუგოსლავია, ინგლისი და სსრ კავშირი, ასევე იტალიაში ჩატარდა.

1972 წლის გათამაშებაში იტალიელები მეოთხედფინალში დამარცხდნენ ბელგიელებთან, ხოლო მომდევნო ტურნირში I ადგილი ქვეჯგუფში ჰოლანდიელებს დაუთმეს.

**ესპანელებმა** ევროპის თასის I გათამაშებაში მიაღწიეს მეოთხედფინალს, სადაც უარი განაცხადეს საბჭოთა ფეხბურთელებთან შეხვედრაზე და გამოეთიშნენ შეჯიბრებას. 1964 წელს ესპანელებმა ფინალში დაამარცხეს საბჭოთა ნაკრები (2:1) და დაეუფლნენ თასს. 1968 წლის ტურნირში ესპანელებმა მეოთხედფინალში წააგეს ინგლისელებთან, ხოლო 1972 წელს ვერ გასცდნენ შესარჩევ ქვეჯგუფს. 1976 წლის გათამაშებაში ესპანელები ასევე მეოთხედფინალში დამარცხდნენ გფრ-ის გუნდთან (1:1, 0:2).

**ინგლისელებს** მონაწილეობა არ მიუღიათ ევროპის თასის I გათამაშებაში, 1964 წლის ტურნირში პირველივე წრეში დამარცხდნენ ფრანგებთან (1:1, 2:5). 1968 წელს ნახევარფინალში დათმეს შეხვედრა იუგოსლავიელებთან (0:1), მაგრამ მატჩში III ადგილისთვის მოუგეს საბჭოთა ნაკრებს (2:0). ეს ინგლისელთა ყველაზე დიდი წარმატებაა ამ ტურნირში. 1972 წლის გათამაშებაში ისინი მეოთხედფინალში დამარცხდნენ გფრ-ის გუნდთან (0:0, 1:3), ხოლო 1976 წელს ქვეჯგუფში I ადგილი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს დაუთმეს.

**ბელგიელთა** ყველაზე მაღალი შედეგი III ადგილია (1972 წელს). ამ ადგილისათვის ბრძოლაში მათ დაამარცხეს უნგრელები (2:1). პირველ გათამაშებაში ბელგიელებს მონაწილეობა არ მიუღიათ, ხოლო 1964 და 1968 წლების გათამაშებებში ვერ გასცდნენ შესარჩევ ქვეჯგუფს. 1976 წელს ბელგიელებმა მეოთხედფინალში წააგეს ჰოლანდიელებთან (0:2, 1:2).

როგორც ხედავთ, წლევანდელი გათამაშების მონაწილე გუნდებიდან 4 უკვე ფლობდა ევროპის უძლიერესი გუნდის წოდებას.

**ნ. გაგუა.**

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ესპანეთი

**მადრიდის** „რეალმა“ XXII ტურში მიიღო სარაგოსას „რეალი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ამასობაში სან-სებასტიანის „რეალმა“, რომელსაც იმდენივე ქულა ჰქონდა, რაც მადრიდის გუნდს, ფრედ — 0:0 ითამაშა „ბარსელონასთან“ და ჩამორჩა.

ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „უნიონი“ (ლას-პალმასი) — „მალაგა“ 1:1, „ვალენსია“ — „სპორტინგი“ (ხიხონი) 3:1, „ატლეტიკი“ (ბილბაო) — „ბურგოსი“ 1:0, „ალმერია“ — „სალამანკა“ 2:0, „ბეტისი“ (სევილია) — „ესპანიოლი“ (ბარსელონა) 2:0, „რახო ვალეკანო“ (მადრიდი) — „ჰერკულესი“ (ალიკანტე) 2:1, „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „სევილია“ 3:2.

XXII ტურის შემდეგ წინ არის მადრიდის „რეალი“, რომელმაც 34 ქულა მოაგროვა. ერთი ქულით ნაკლები აქვს სან-სებასტიანის „რეალს“. ეს ორი გუნდი იბრძვის ჩემპიონობისთვის. 27 ქულა აქვს ხიხონის „სპორტინგს“, 25 ქულა — „ვალენსიას“.

### ჩეხოსლოვაკია

**დაიწყო** ჩემპიონატის მეორე წრე. პრაღის „ბოჰემიანსმა“ სტუმრად ფრედ (0:0) ითამაშა ცტს-სთან (კოშიცე). მისმა უახლოესმა მდევარმა „ბანიკმა“ (ოსტრავა) მოიგო პრაღის „სლავიასთან“ — 2:0. ტურის ყველაზე დიდი ანგარიში (5:0) აღინიშნა პრაღაში, სადაც ადგილობრივმა „დუკლამ“ დაამარცხა ხების „ცრვენა გვეზდა“.

XVI ტურის შემდეგ პრაღის „ბოჰემიანსს“ 23 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი აქვს. ოსტრავას „ბანიკს“ 21 ქულა, ბრნოს „ზბროიოვკას“ — 20.

### თურქეთი

**გათამაშებულია** 23 ტური. ლიდერი — „ტრაბზონსპორი“ სტამბოლში ანგარიშით 0:1 დამარცხდა „გალათასარაისთან“, მაგრამ 22 ქულით მაინც ინარჩუნებს პირველ ადგილს. 21 ქულა აქვს „ბურსასპორს“, 20 — სტამბოლის „ფენერბახჩეს“, „გალათასარაიმ“ ამ მოგებით ბოლო ადგილიდან მეცამეტეზე გადაინაცვლა.

ჩემპიონატები, ტურნირები, ლიდერები

## «სპორტლოტო»

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მე-10 ტირაჟებისა, რომლებიც 8 მარტს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6-49“-დან:**

**პირველი:** 6 ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი პლიუს ერთი ნომრის გამოცნობისთვის (1 ბარათი) მოგება 2456 მანეთია, ხუთისთვის (41) — 1456 მან., ოთხი პლიუს ერთი ბარათის გამოცნობისთვის (116) — 60 მან., ოთხისთვის (1708) — 35 მან., სამისთვის (28051) — 3 მან.

**მეორე:** ექვსი ნომერი და ხუთი პლიუს ერთი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთის გამოცნობისთვის (17 ბარათი) მოგება 1760 მანეთია., ოთხი პლიუს ერთისთვის (32) — 68 მან., ოთხისთვის (679) — 43 მან., სამისთვის (13872) — 3 მან.

**„სპორტლოტო 5-36“-დან:**

**პირველი:** ხუთი ნომერი შვიდ ბარათზე ამოიცნეს, თითოეული 10000 მანეთს მიიღებს. ოთხი ნომრის გამოცნობისთვის (971) მოგება 158 მანეთია, სამისთვის (29270) — 6 მან.

**მეორე:** ხუთი ნომერი გამოიცნეს ექვს ბარათში. მოგება აქაც 10000 მანეთია, ოთხისთვის (1076) — 139 მან., სამისთვის (31520) 6 მან.

რედაქტორი ა. ბასილაია.



**ბორის ძნელაძის** სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე გაიხსნა **მხატვრული ტანვარჯიშის სკოლა** (დირექტორი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის საპატიო ოსტატი ნ. სალაძე)

### ა ც ხ ა დ ე ბ ს

მოსწავლე გოგონათა მიღებას საკონკურსო მონაცემების გათვალისწინებით. კონკურსი ჩატარდება ყოველდღე 10-დან 12 საათამდე და 17-დან 19 საათამდე პიონერთა სასახლის სპორტულ დარბაზში.

მ ი ს ა მ ა რ თ ი: რუსთაველის გამზირი № 6, ტელეფონი 93-25-10.

**პიონერთა სასახლის დირექცია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; კადრების — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.